

ქალაქ ქუთაისში, შალვა კიკნაძის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის
N7-9 ოთახებზე, მოქალაქე ვაჟა მახარაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა შალვა კიკნაძის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N7-9 ოთახებში, მცხოვრები მოქალაქე ვაჟა მახარაძის განცხადება /2013 წლის 23.01 Nმ-700/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, შალვა კიკნაძის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლი N7-9 ოთახები/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, შალვა კიკნაძის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N7-9 ოთახებზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვაჟა მახარაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, შალვა კიკნაძის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N7-9 ოთახებზე /საერთო ფართობი 35,90 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,90 კვ.მ./ მოქალაქე ვაჟა მახარაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე